საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/96

ქ. ბათუმი **07 ოქტომბერი, 2020 წელი**

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის №01 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1.,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის №01 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის (დანართი 1-ის):

ა) **პირველი მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ა) **,,პირველსემესტრელის სტიპენდია“** (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) - ენიშნება პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის იმ სტუდენტს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხება აბიტურიენტის განაცხადში (სარეგისტრაციო ანკეტაში) მის მიერ პირველ ნომრად მითითებულ, წინამდებარე წესის მე-2 პუნქტის ,,ა“-,,გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ბსუ-ს რომელიმე პროგრამაზე და ამავდროულად, ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის ბსუ-ს მიერ განსაზღვრულ, სავალდებულო საგნის (მათემატიკა ან/და ისტორია) გამოცდაზე მიღებული აქვს ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა შორის ყველაზე მაღალი (სკალირებული) ქულა;“;

ბ) პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6. ბსუ-ს თითოეული ფაკულტეტის პირველსემესტრელ სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვრება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, შემდეგი პრინციპით - ფაკულტეტის ყოველ 250 სტუდენტზე - ერთი სტიპენდიანტი. ამ პუნქტით განსაზღვრულ სტიპენდიანტთა ოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს, თანაბარი ქულების მქონე კანდიდატების გათვალისწინებით.";

გ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ,,პირველესემესტრელის სტიპენდიების" დანიშვნის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველია ფაკულტეტების დეკანების მიერ სტიპენდიანტების კანდიდატების შესახებ, სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათები, რომლებიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) კანდიდატების სახელი, გვარი;
ბ) პირადი ნომერი;
გ) ბსუ-ში გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი;
დ) ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი;'
ე) ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის ბსუ-ს მიერ განსაზღვრულ სავალდებულო საგნის გამოცდაზე მიღებული სკალირებული ქულა;
ვ) ბსუ-ში სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ ინფორმაცია.";

დ) მე-4 მუხლს მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის წარდგენის წინამდებარე მუხლით დადგენილი წესი შესაძლებელია შეიცვალოს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.".

2. წინამდებარე ცვლილებების გათვალისწინებით **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის"** კონსოლიდირებული ვერსიის მომზადება დაევალოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს.
3. წინამდებარე გადაწყვეტილების და კონსოლიდირებული წესის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**